

რედაქცია

მოღონის (აბა-აბატი) მედავნი, პორტანოვის სახლებში.

ხელის-მოსწრა

რედაქციაში და სტ. მედიკოსების სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типлясь. Въ редакцію газеты „Дროаბა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შუური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდრ ასობით, ანუ — 1 კაპ., ასო-მოთარგმნით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცერონით, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საქროება მოთხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ფრონტი

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

საქართველო

რა მოეთხოვება გაზეთს?

I

ამ სამი-ოთხი თვის წინათ, ლონდონში იყო კრება ერთი საზოგადოებისა, რომლის მიზანი არის, რომ ლარიბ მწერლებსა და განსაკუთრებით ჟურნალისტებს დაეხმაროს. ძრებაზე ბევრი გამოჩენილი მწერლები, მინისტრები და დეპუტატები დაესწრნენ. როგორც ყოველ კრებას შ. ჰეფერის ინიციატივით, აქც რამდენიმე პირთა სიტყვა წარმოთქვა; ორატორებმა განმარტ. ს ერთის მხრით კრძალთ ამ საზოგადოების მოვალეობა და სარგებლობა და მეორეს მხრით პერიოდული ლიტერატურის (გაზეთ ჟურნალების) მნიშვნელობა.

ამ სიტყვებში განსაკუთრებით ერთი ორატორის სიტყვამ მიიქცია ჩვენი ყურადღება: ანტონის ელჩმა ინიციატივით, გრაფ ბეისტა, სხვათა შორის, შემდეგი წინადადება წარმოთქვა:

„ტუ ლად ყი არ აზრებენ, რომ პერიოდული ლიტერატურა მეტეს წაწილი არის დედა-მ. წ. სო! აბლანდელს დროში გზეთი ისეთი ძალაა, რომელსაც ყოველი სახელმწიფო ვალდებულია მუდამ დაეკითხოს, რომლის აზრი და ქადაგება მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეს; ერთი ხიტყვით, გზეთი ახლა „სახელმწიფოში სახელმწიფოს“ შეადგენს.“

მინც ცოტათი მინც იცნობს მეგობრისა და ამერიკის განათლებული ქვეყნების დრო-გამოშვებით ლიტერატურას, ის, უეჭველია, ადვილად დაეთანხმება ამ გრ. ბეისტის სიტყვებს.

და თუ მართალია ის, რომ გაზეთი არის გამოთქმული საზოგადოების აზრებისა და ლტოლილებისა, რად უნდა გაგვიკვირდეთ, რომ ის ნამდვილ ძალას შეადგენს, რომ თვით „მმართველობა უნდა დაეკითხოს“ და ყური უგდოს იმას.

სხვა არა იყოს რა, ამაში ის უბრალოდ გარემოებას გვარწმუნებს, რომ მეგობრებაში ყველა მმართველობა ცდილობს რაც შეიძლება მომეტებული მომხრე ყვანდეს ლიტერატურაში, ცდილობს რაც შეიძლება კარგათ მოიხსენიებდნენ გაზეთები ყოველ იმის მოქმედებასა და განკარგულებას. ნეტარ-ხსენებული ნაპოლეონი მესამე ყოველ წელიწადს რამდენსამე მილიონს ხარჯავდა მხოლოდ სულმდებალი გაზეთების მოსახიდველად, რომელთა მოვალეობა იყო, რომ იმის მმართველობა ექო.

მარტო თეორეტიული აზრების

გაგრძელებასა და სიტყვითს ქადაგებაში კი არა აქეთ მეგობრისა და ამერიკის გაზეთებს მნიშვნელობა. არა, უმთავრესი იმათი მნიშვნელობა თვით საქმეშია, თვით პრაქტიკულ ცხოვრებაში და მთელი ხალხის ბედზე გაელენის ქონებაში. გაზეთებისა და ლიტერატურის საშუალებით, იქ თითქმის ყოველგვარი პრაქტიკული საქმეები რიგდება.

იმათი გამოწვევა და თანაგრძობა საქმათა, რომ მთელი კამპანიები შესდგეს და რომელსამე საქმეს მიჰყონ ხელი.

იმათი განკიცხვა საქმათა, რომ კერძო პირმა ანუ დაწესებამ ხელი არღოს იმ საქმისაგან ან განზრახვისაგან, რომელიც, გაზეთების აზრით, საზოგადოებისათვის მანებელია.

აბა თუ იქ რომელიმე მმართველობა გაბედდეს ისეთი რომელიმე სახელმწიფო ცელილებს მოხდენას ანუ უბრალო კანონის გამოცემას, რომლის წინა ღმდეგი გაზეთები არიან, რომელსაც უშუალოდ გააყუროს ან ბენ და ჰკიცხვენ?

თითქმის ყოველი კეთილი საქმე, ყოველი რეფორმა მმართველობისა, წარმატება საზოგადო ცხოვრებაში, თავისუფლების გზაზე წინ წასვლა და სხვა ყველაფერი, გაზეთებისა და ლიტერატურის შემწეობით, რჩევი და ხან მოთხოვნილებით იწყება და სისრულეში მოდის ხოლმე.

აი ამისთანა ძალა აქვს ნაბეჭდ სიტყვას! და ეს ძალა იმითაა აქვს სიტყვას, რომ ის არის საქმის წინამორბედი: ჯერ ითქმება რამე, გერცვლდება ხალხში და მერე საქმითაც შესრულდება.

პირველად სიტყვა იყო შრისტისი — და მერე ეს სიტყვა განხორციელდა: დ. ფუძნდა დედა-მიწაზე იმის სწავლა.

ჯერ სიტყვით ჰქადაგობდნენ მწერალნი საფრანგეთის დიდი პრინციპებს; მერე სიტყვა საქმეთ გადიქცა და ახლაც იქცევა.

პირველად სიტყვით ამბობდნენ, რომ ყველა კაცები — ძმები და თანასწარნი ვართო; მერე საქმედ იქცა: ბატონ-ყმობა ჩვენშიც კი მოიხსრა, და ახლა დედა-მიწაზე უფრო თანასწორობა ფუძნდება.

ჯერ სიტყვით ამბობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქალიც ადამიანი არისო, რომ იმასაც ყველა ის უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, რაც კაცებსა აქვსო; ახლა ეს სწავლა ზოგან შესრულდა და ზოგან მომავალში შესრულდება.

აი ამიტომა აქვს სიტყვას ასეთი

საშინელი ძალა! აი ამიტომა აქვს გაზეთებსა და ლიტერატურას ასეთი მნიშვნელობა განათლებულს ქვეყნებში!

რა მნიშვნელობა აქვს ანუ უნდა ჰქონდეს ჩვენს დრო-გამოშვებით ლიტერატურას და რა მოეთხოვება იმას — ამაზე შემდეგში მოვილაპარაკოთ.

ს. მესხი

დღიური

მუთათილამ გვატყობინებენ, რომ ამ მოკლე ხანში იქ შემდგარა პატარა „წრე ქართული სცენის მოყვარეთა“. „წრის“ მიზანია შემდეგი: ა) გამართოს სცენა ქართული წარმოდგენებისთვის და ამის შემწეობით გაავრცელოს საზოგადოებაში ქართული თეატრის სიყვარული, და ბ) წარმოდგენებიდამ შემოსული ფულებით, შეძლებისა და გამართოს, რომელსაც „წრე“ უფრო საქროთა და სასარგებლოთ დაინახავს.

ჯერ-ჯერობით კი სრული შემოსავალი, როგორც ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს, რასაკვირველია, მხოლოდ სცენის გამართვას მოუნდება. შემდეგში იმედი აქვთ, მეორე მიზნის აღსარულად ექნებათ საშუალება. სხვათა შორის, „წრე“ თარგმნის ქართულად ისეთს დრამატულ თხზულებებსა, რომლის წარმოდგენა მუთათის სცენაზე შესაძლებელი იქნება. ამჟამად ოთხი ამისთანა თხზულება უკვე გადმოთარგმნილია და ერთს იმათგანს „ჩიგროს მორწინებას“ ამ მომავალ ვირას არდგენენო.

მკითხველმა იცის, რომ „ქვეყნიის მეურნეობის საზოგადოება“ რომეალ თვეში თავის 25 წლის აღებობის დღეს დღესასწაულობს. ამ იუბილეს გამოისობით, საზოგადოებას დაუნიშნავს ოთხი პრემია (ახუქარი) იმათთვის, ვინც შემდეგს თხს საგანზე (კ-თხაზე) უფრო საუძელიან თხზულებას დასწერს:

ა) აბრეშუმის მოყვანის მდგომარეობა ქვეყნიის აქეთა და იქითა მარეში და საშუალებანი იმის გასუმჯობესებლად.

ბ) საშუალება პირუტყვების მოყვანის გაუმჯობესებისათვის.

გ) საშუალება ღვინის კეთების გაუმჯობესებისათვის ქვეყნიის აქეთა და იქითა მხარეში და იმის გასუმჯობესებისათვის.

დ) სტატისტიკურ-მეურნეობითი აღწერა ქვეყნიის აქეთა ანუ იქითა მხრის რომლისამე გუბერნიისა ანუ მაზრისა.

იმ საბებიო ინსტიტუტში, რომელიც წელს გაიხსნა ჩვენს ქალაქში და რომელსაც „ღროების“ № 70-ში იყო რამდენიმე სიტყვა, ამჟამად ვგზამენებია დანიშნული, რომელიც ამ 1 ენკენისთვემდი გაგრძელდება. აქვე მოგვყავს კიდევ რამდენიმე ცნობა ამ ინსტიტუტის თაობაზე:

მინც რუსული წერა-კითხვა და არითმეტიკის ოთხი მოქმედება იცის, ის მხოლოდ ორ წელიწადს რჩება ინსტიტუტში და ბებიობის დიპლომს მიიღებს და შეუძლია სახელმწიფო სამსახურში ჩაერცხოს; ვინც არა, სამი წელიწადი დარჩება და შეუძლია სოფლის ბების მოწმობა მიიღოს.

მრთავენი ვალდებულნი არიან, რომ ექვთი წლის განმავლობაში ქვეყნიის იქონიონ პრაქტიკა და აქვსათა უნდა იყოს.

მინც მხოლოდ იელის ინსტიტუტში სასწავლებლად, იმათ წელიწადში ოთხი თუ მან ი გადახდებათ სწავლის ფასად, და ვინც ინსტიტუტში იცხოვრებს სრულის ხარჯით (პანსიონერათ), იმათ კი წელიწადში ხუთმეტით უმან ი. მოსწავლე 16 წელიწადზე უმცროსი და 30-ზე უხნერესი არ უნდა იყოს. სწავლა ენკენისთვის (სექტემბრის) 15 ს იწყება.

მზურგეთილამ გვწერენ, რომ საზოგადოთ მთელს მურიაში ძალიან მოდებულია წელს ციებ-ცხელება და მუტელაო, და ამისთანა დროს დიდი შემწეობა მისცა ხალხს ერთმა ახალგაზდა ექიმმა მ — შეილმა, რომელიც დროებით ჩამოვიდა აქ რუსეთილამო. მს მ — შეილი დაუზარებლივ მიდისო სადაც კი მიიპატყვებენ — და უფასოთ სწამლობს სოფლის ღარიბ ავათყოფებსაო. ჩვენი კორრესპონდენტი გვწერს, ეს პირველი შემთხვევა არის ჩვენშიო, რომ ექიმში უსასყიდლოდ სწამლობდეს ავათყოფსაო. ხალხი ამ ყმაწვილ კაცს ძალიან ემადლიერებაო.

ჩვენ გვთხოვენ გავსწოროთ ერთი პატარა შეცდომა, რომელიც შეგვგარეია № 91 „დღიურში“, სადაც მკითხველის წარმოდგენის თაობაზე ნათქვამი იყო, რომ ეს წარმოდგენა „მკითხველის საზოგადოლო შკოლის სასარგებლოთ არისო.“ საზოგადოლო შკოლის კი არა, უბრალო



ჩვეულებრივი საზღვრული შკოლის სასარგებლოთ იყოფა.

ჩვენ მოგვივიდა მუთისიდან შემდეგი წერილი:

ამ აგვისტოს 3-ს რუსულ-ქართული წარმოდგენა იყო აქ, სასარგებლოთ აქაურის სომეხთ საქალბო სასწავლებლისა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს, სომეხებს გარდა, ქართველებმა და რუსებმაც. წარმოდგენა ისე კარგად წავიდა, რომ ბევრმა ითხოვეს განმეორება.

წვეთიერათაც ძალიან სასიამოვნო შედეგი იქონია; ამისათვის მზრუნველები ამა სასწავლებლისა გულითადს მადლობას უძღვნიან რა ყველა იმ პირთა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ წარმოდგენაში, ვალად ჰრაცხენ თავის-და წარმოუდგინონ საზოგადოებას იმ წარმოდგენის შეზოგადოების ანგარიში, რომელ არს ესე:

ბილეთები გაიყიდა 252 მანეთისა (სულ 260 მანეთისა იყო, გაუყიდველი დარჩა მხოლოდ 8 მანეთის), ისეც შემოიწირა 17 მანეთი, სულ შეადგენს 269 მან. მასაკვალ იცო 62 მანეთი და 15 კპ, რომლის გამორიცხვის შემდგომ სასწავლებელს დარჩნა დღე ფული 206 მანეთი და 85 კპ. ამ შეზოგადოების დაწესებულებითი ანგარიში ნახულ იქმნა ერთს კრებაში, საცა, მზრუნველებს გარდა, დაესწრნენ წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებმაშინათვე ჩაბარდა სასწავლებლის ხაზინადარს.

თავმჯდომარე — დეკანოზი ტერ. ი. რალიანიცი მზრუნველი — სუმბათ პარენიანიცი ხაზინადარი — მელიქ მაიკაზოვი 19-ს აგვისტოს, მუთისს

„დ რ მ ჯ ბ ა“ კორექტიონი

შუალო რედაქტორი!

შეზარებული და გზოვით მისცესთ ალაგი თქვენს „დ რ მ ჯ ბ ა“ ამ წიგნსა, და გამოაცხადოთ ის უსამართლობა, რომლითაც საესეა ჩვენი სოფლების მოსამართლენი და რომელიც რჩენა გამოუცხადებლათ. რასაკვირველია, რომ ამისთანა შინაურულათ დაჭერილი უსამართლობა ძნელათ ცხადდება მთავრობათან, რადგანაც იჩაგრება იმისთანა დარბი და უღონო ხალხი, რა ხელი ევრსად მიუყვდებათ და არიან ორ წყალ შუა. მოკლეთ მოგახსენებთ:

მე მომიხდა ამ ცოტას ხანში ბორის უფბში ყოფნა ერთი დღითა, და შეზარული დავრჩი ამბით, რომელსაც მე მოგახსენებთ ამ წიგნში; მით უფრო ებედავ ამ ამბის გამოამკარებას, რა სუყველა მხრიდან მესმოდა თხოვნა ხალხიდან და გლეხკაცობიდან, იქნება ეს უსამართლობა შეატყობინო ვისმე, რადგანაც მოსიარულე კაცი ხარო.

ამის გამოისობით უფრო, და არა დაბეზლების გულისათვის, აღვიარებ, უფლო რედაქტორო, რა სოფელ

მეტეხში ცხოვრობს ერთი ქერივი და საწყალი დედაკაცი, თავის მახლის სახლში. ამ საწყალ დედაკაცს დასწამეს არაიყოფა ერთ ყმაწვილ უცლო, მგონი, ვაჟზე. — სოტას ხანს უკან, რასაკვირველია, მახლიც შევიდა ექვში და, როგორც ლაპარაკობენ, მოუსწვრია ამ ვაჟის იმ თ სახლში შევიდა, და რა ნახა თავის თვალით, საჩქაროთ გადმოუჩინა გაარედან კარი და გაქვიულა წისკელი. შინათ საეების დასაძახებათ. ბოლოს როცა მიდგა საქე გამოყენაზე, მიიწვიეს თურმე სოფლის მსაჯულები და მამასახლისი და გამოუცხადეს თავისი ეჭვი და საჩივარი.

მსაჯულები და მამასახლისი მოიგონებენ თურმე უწინდელ საზღაპროთ დარჩენილ მსაჯულებსა და დათვიცებენ საყდარში დედაკაცს და ექვსა. მერივი აძლევს თურმე ფიცს, რომ ის ყმაწვილი ვაჟი ისე იყო იმი საგან მიღებული, როგორც ნამდვილი შვილი და მეზობელი. მაგრამ ვაჟი კი გამოაცხადებს, რომ ეს ქერივი უყვარდა იმას ორი წელიწადი, როგორ თაც თავისი მჯუნური.

ამის შემდეგ მსაჯულები შეადგენენ განჩინებას ამ ქალისა და ვაჟს დასაჯვლათ და იქვე აარულებენ. დასჯაც ეს იყო: 20 კათათვეს, გადააბეს ეს ქერივი და ვაჟი ხელი-ხელთ და თოკის წევით შემაატარეს მთელი სოფელი მეტეხი და

ზოგინიხბით და ზოგი ბარით იღებდნენ ტალახსა და ნეხესა და აყრიდნენ ზედა ცუდის ლანძღვით, გინებით და პირში ფურთხვით. — ასე მოიფიქრეთ ამ უბედურთა სულის გარემოება, რა მინამ არ დასრულეს თავისი უსამართლობა, მინამ გული აო შემევეჭრა ამ საბრალო ქერივს.

ბოლოს, როგორც სარწმუნო პირისაგან გავიგონე, ეს დედაკაცი და ვაჟი ჩეარდნილან ლოგინათ და, მგონია, ვერ აიტანოს პირველმა ეს უბედურება.

ბერთა ურჩიეს ამათ ჩივილი მთავრობასთან; მაგრამ, რადგანაც უბატრონო და ქერივ ოხერი ვარო, დედაკაცმა ვერ გაბედა.

მართალია, გარყენილობას ჩენი ხალხი ძალიან სასტიკის თვალთუყურებს და უფლება აქვს დასაჯეს; მაგრამ ეს დასჯა უნდა იყვის ზნობითი და არა ესეთი ბარბაროსული.

შველა კაცი გრძნობს, რა ბოროტება უნდა დასჯას, მარამ ითონვე დამსჯელები ახდენენ იმისთანა ბოროტ დამსჯელობასა, რა ყველა ბოროტზე და გარყენილობაზე უფრო დასაძახია! რა ხერივი ემატა ხალხსა იმისთანა სამართალსა? რა სწელა მიიღო გლეხმა ამისთანა უსამართლობიდან? შესამართლობა ყოველთვის დარჩება უსამართლოთ და არა თუ შემპატეს რასმე, ის ხეხი, რომელიც ნიხბითა და ბართ აყრიდა ტალახს, შეეჩევეა უფრო პისთანა ყურებას და დარწმუნდება იმ

ფიქრზე, რა ყველა ამისთანა უსამართლობა — არის სამართალი. იფიქრეთ ამის შემდეგ: რა მშვენიერ და სანატრელ საზოგადოებაში უნდა იზღებოდეს ჩვენი იმედი — მომავალი საქართველოს შვილი?

ნუ თუ არ იყო საგრძნობი ეს საზიზვრათ მოსაგონებელი ამბავი იმ კეთილშობილ აზნაურ — და თავიღო შვილებსთვის, რომელნიც უფრო დიდ კვირასა სცემდნენ და მისდევდნენ პირუტყვივით უგრძნობ გლეხთა? მე მგონია, ერთი-ორი პატიოსანი სიტყვა და დარიგება იმათი მხრიდან, და არა ტაშის დაკერა, — მოაჩივრებდა იმ საბრალოებს ამ საზარელ გარემოებას.

ამასთანვე არ შემიძლიან არ დუმატო, რომ თუ მართალია, რა დავიცვება იმ ქერივისა და ვაჟისა მომხდარა ანუ საყდარში ანუ ხუცესის გარეგით, დიან სადარდელია, რომ მოძღვარი დათანხმებულა და თავის მხრით რაფერი შემწეობა არ უხმარნია იმ საბრალოებისათვის.

ძრისტ. შანელი
სანიგლოდგან, 15 აგვისტოს

საქართველოში არც ერთი საოფლო შკოლა არ იქნება, რომ იპაში ერთის სოფლის მცხოვრებლების იმდენი შვილები სწავლობდნენ, რამდენიც არის ძახის შკოლაში. ამ შკოლაში სწავლობს 68 ყმაწვილი

სულ ინგილოები არიან. ეს შვირდები მიუტია შკოლისათვის 250 მეკამურს.

შვირდები შკოლაში მის დაარსებდგანვე ბევრნი ყოფილან. მაგრამ სამწუხაროა, რომ ადრინდელი მასწავლებელის უვარგისობისა გამო, აქამდე არც ერთი ყმაწვილი არ არის ძახში ამ შკოლიდგან გამოსული, რომ შეეძლოს წერა ან რუსული და ან ქართული.

250 მეკამური 68 ყმაწვილს რომ აძლევდეს სასწავლებლად, მეტილა შეიძლება ახლანდელ ჩვენ მდგომარეობაში ვინატროთ? მაგრამ აბა იმაზე მომეტებული უბედურება სადლა იქნება, რომ ამდენს მოსწავლედ მყოფ ყმაწვილებში, რომელთაც ვითომც სწავლა შეუსრულებიათ, არც ერთმა არ იცოდეს წერა-კითხვა?!

ამ გვარად სწავლის ცუდად წყევანის მიზეზი ის იყო, რომ, როგორც ამბობენ, ადრინდელი მასწავლებელი უფრო ხშირად ქეიფებში, საჩივრებში და ქიშპობაში ატარებდნენ თავიანთ სიცოცხლეს. იპათ შკოლის საქმე ფეხებზე ეკიდათ, იმათი საქმე ბეგებთან ქეიფი იყო და ქეიფისთვის ხალხში მათხოვარობა.

„მავკასიაში ძრისტინობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ ფული დახარჯა ინგილოების განათლებისთვის, მაგრამ მათგანმა არც ერთმა წერა-კითხვაც არ იცინ. მასაკვირველი არ არის განა, რომ ამის შემდეგ კიდევ მანელები შეილებს აძლევენ შკოლაში? მაგრამ ახლა, ვმადლობთ ღმერთს,

რომ შკოლაში არსებობს წყვეტილი დანიშნული ერთი კატეგორია, რომელიც სანდროვის ინსტიტუტში კურსს შესრულებული კაცი, როსტომოვი, და აი ერთი წელიწადია საქმე კარგად მიჰყავს. ჯერ-ჯერობით, სხვა არა იყო; რა, შვირდებმა ქართული და რუსული წერა-კითხვა მაინც იცინ.

ინგილო შანაშვილი

რუსეთი


ამართებლობის მოამბეში გამოცხადებულია, რომ გასული ივლისის განმავლობაში საკუთრივ რუსეთის 70 გუბერნიაში 3,665-ჯერ ჩენილა ცეცხლი, რომლითაც მცხოვრებლებს 11,778,508 მანეთის ზიანი უნახავთ. შველაზე უფრო მომეტებული ზიანი (1,667,722 მან.) მოსკოვის გუბერნიას მისცემია.

ახალ ნიჩი მათხოვრობა გაჩენილა პეტერბურგში და მოსკოვში: ყველა მათხოვრები, რომელნიც ჩამოწევილ-დავლევალ ტანთ-საცმელში დაიარებიან, პირ-და-პირ მიადგებიან თურმე ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს და ეუბნებიან, რომ გადმწვარი ქალაქი მარშანსკილამ ჩამოვედი გუშინაო, ყველაფერი დამეწვა რაც გამოჩნდაო და ღეთის გულისათვის, რამე მიწყალობეთო. პოლიციას მიუქცევიან ამ მათხოვრებისთვის ყურადღობა.

ამართებლობის განკარგულებით, ამას წინათ მდესაში ერთს დღეს მოახდინეს აღწერა (მცხოვრებლების რიცხვი გამოინგარიშეს) და ამ წყვირდამ აღმოჩნდა, რომ მდესაში ამ ჟამად სულ 193,513 სული ცხოვრებს. ამ რიცხვიდამ 109,730 კაცია და 83,782 ქალი. სარწმუნოებისა და გვარად მდესის მცხოვრებლები ასე განიყოფებიან: მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისანი: 125,350, ურები 51,380, ლოტრანგები — 4,072, ფრანგები — 8,620, სომხები — 888 და სხე.

ახალ მდესის მოამბეში, იწერებიან, რომ რადგან ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში აქ საშინელი სიძვირე იყო სახლებისაო, ამის გამო თითქმის ყველა სახლების შენობას შეუდგაო ასე, რომ ახლა სახლების რიცხვი ერთობ გამრავლდა და პატრონები მალე იძულებული შეიქმნებიან, რომ სადგომის ქირა გაიფონო.

ერთი ძიევის გაზეთი გეაცნობებს, რომ საზრეთ რუხეთის შაქრის ფაბრიკებზე მუშები ძალიან შევიწროებულს მდგომარეობაში არიანო. შაბრიკის პატრონები და გამგებლები ისეთს დროს იჭერენ მუშებს, როდესაც სახელმწიფო და სხვა გვარი ხარჯის გადასახდელად ეჭირებათ ფულიო; წინათვე აძლევენ თითო-ორ-ოლ თუშანს და მერე რამდენიმე წლის განმავლობაში არ გამოჰყავთ ვალიდამაო. როცა მოუსენარია მუშაობისა, ცუდი საქმელ-სასმელისა და მყრალი ჰაეისაგან დასუსტებული



და დაეთმოყოფებულო მუშები ველარ შეიძლებენ რიგინათ მუშაობას, მაშინ იმათ გაჰყრიანო და იმათ ნაცვლად ამგვართვე სხვებს იჭერენო.

უსსო ქვეყნები

ოსმალთი. როგორც ვტყობა, ინგლისი ძალიან შეუშინებია გერცოგოვინელების აჯანყებას: იქაური გაზეთები თუ აფრთხილებენ აჯანყებულებს, რომ დაწყნარდით, თორემ ხერი არ დაგვიყრებათო, თუ სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკება აქვთ, რომ ოსმალს შინაგან საქმეებში ნუ გაფრთხილდით, აჯანყებულებს ხელს ნუ მოუწყობთო.

ადვილად გასაგებია ინგლისის ამგვარი შიში: ის შევიწროებული ხალხების მდგომარეობის შემსუბუქებაზე და ოსმალს მძიმე უღლილად იმათ დახსნაზე არ ჰფიქრობს; მხოლოდ თავის ეგოისტური სარგებლობა აქვს მხედველობაში და რადგან კარგათ იცის, რომ ერთის ხელის შეხებით ეს „ავთმყოფი სხეული“ (ოსმალა) დაიშლება, ამის გამო ცდილობს, რომ ამ სახელმწიფოს მდგომარეობა შეუცვლელად დარჩეს.

სერბის და ჩერნოგორიის მთავრებს ხონტკრისთის მოუხსენებიათ, რომ ბერცოგოვინის არეულობაში ჩვენ არ ვითარ მონაწილეობას არ ვიღებთო და ვეცდებითო, რომ ჩვენი ქვეყნელები იმათ არ დაეხმარონო. მაგრამ ამ მთავრების მოხსენებასა და სურვილს, როგორც ვტყობა, ჩერნოგორიელ-სერბიელები მაგდენ უჭრადღებას არ უგდებენ: ერთი უცხო ქვეყნის გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, რომ აჯანყებულების რიცხვი ამჟამად სულ 10,000 კაცამდინ არისო და ამაში გერცოგოვინელები 4—5000-ზე მეტი არ ურევიაო, დანარჩენი სულ სერბიელები, ჩერნოგორიელები, ბოსნიელები და სხვა ბერცოგოვინის მოსაზღვრე ხალხები არიანო.

მგვიტეს ვიცე-კაროლს (ხედივს) შეუთვლია, როგორც იწერებინან, ხონტკრისათვის, რომ 25,000 კაცს გათხოვებ ბერცოგოვინის აჯანყების დასამშვიდებლათო. თითონ ოსმალს ოფიციალურს გაზეთში ამბობენ, რომ „მთავრობამ 20,000 კაცი გაგზავნა ბერცოგოვინაშიო. მასაკვირველია, ამდენი ჯარი როგორ ვერ მოერია ერთ მუჟა აჯანყებულებს?

ახლად მოსული დეპუტე გვატყობინებს, რომ 1000 სერბიელი შეერთებია კიდევ აჯანყებულებს, და რაც კიდევ უფრო მომეტებული ყურადღების ღირსია — ოსმალს წინაღმდეგ აღბანია აჯანყებულთა. ტყეილა კი არ არის ნათქვამი, რომ ამგვარ შემთხვევაში ერთი ნაპერწკალი კმარაო, რომ დიდი ცეცხლი გაჩნდესო!“

საშრანგეთი. დიდს ფეცა-ფუცში და მოძრაობაში არიან თურმე ამ ქა-

მად ბონაპარტი ტები. ისინი იკრიბებებიან პარიჟის ახლო ქალაქს მნგინში და აქედამ აგრცილებენ სხვა და სხვა ბონაპარტიულ ბროშურებსა და თავიანთი პრინცი ფოტოგრაფიულ კარტოჩებს. ამ კარტოჩაზე პრინცი ინგლისის აფიცრის მუნდირშია თურმე დახატული და ქვეით მოწერილია: „მე მიყვარს საფრანგეთი; მაგრამ ინგლისის ჯარში იმიტომ შეველ, რომ სახედრო ხელობა ვისწავლო, რომელიც, ტახტზე ასვლის დროს, გამოამდგება როგორც გარეგანი აგრეთვე განსაკუთრებით შინაური მტრების დასამარცხებლად.

15 აგვისტოს ბონაპარტისტები ნაპოლეონის დღეობას დღესასწაულობენ, ერთს იქაურს ეკლესიაში პარაკლისს გადაიხდიან; მაგრამ რადგან ნაპოლეონის ქვრივი და იმის ვაჟი ამჟამად შვეიცარიაში არიან, ამიტომ, როგორც ამბობენ, იქ მიდიან თურმე ბევრი და ამ დღესასწაულსაც იქ გადაიხდიან.

— ტულუზის არხიებისკოპოსს სამხრეთ საფრანგეთის ყველა არხიებისკოპოსებისა და ეპისკოპოსებისთვის ცირკულიარი გაუგზავნია, რომლითაც უცხადებს, რომ ტულუზაში კათოლიკე ეკლესიასა ესწინათ და ამ საქმეში რითაც შეგიძლინთ (რასაკვირველია — ფულით) დაგვეხმარეთო.

ამას წინათ რომ პარიჟში ეპისკოპოსების კრება იყო ამავე საგანზე მოსალაპარაკებელად, იმ კრების წევრნიც ხელის მოწერით ფულებს აგროვებენ თურმე, რომლითაც პარიჟში უნდა გახსნან მეორე კათოლიკე უნივერსიტეტი.

ინგლისი. ინგლისის პარლამენტის სხდომები (სესია) გათავდავდა. უკანასკნელ დღეს პარლამენტმა ჩვეულებრივად წაიკითხა „სატახტო სიტყვა“, რომელშიაც უმაღლიდა პარლამენტს შრომისათვის და მოხსენია, რომ ინგლისის შინაგანი და გარეგანი საქმეები კარგათ მდისო. მაზეთები კი არ იმდღიერებიან ახლანდელ სამინისტროს (მმართველობას); ისინი ამბობენ, რომ რასაც მოველოდით, იმის ნახეიარი ვერ შეასრულა ახლანდელმა სესიამაო.

ამერიკის რესპუბლიკა. შერტებული შტატების ფინანსის მინისტრმა, მ (15) აგვისტოს გამოაცხადა შარშანდელი წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიში, რომლითაც ჩანს, რომ შემოსავალი ყოფილა — 288 მილიონი დოლლარი და გასავალი — 274 მილიონი ასე, რომ წმინდა შემოსავალი 14 მილ. დოლლარი დარჩენილა.

ვაზის ახალი ავთმყოფობა

IV
—
თქმულობა არის, რომ ფილოქსერა ეს ორმოცი წელიწადი იქნება, რაც ამერიკაში უნახავთ; წინათაც კი ყოფილაო ამბობენ, მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები არ არის.

ამასთანავე რადგან ამერიკის ვაზს ღონიერი ფესვები აქვს და შეუძლია ფილოქსერას ეწინააღმდეგოს, ამიტომ დიდხანს უნდა გაველო, რომ ვაზსა ავთმყოფობა შეეჩინება. თორემ ფილოქსერა რომ მერობადმ გადასული ავთმყოფობა ყოფილიყო, ამერიკაში მალე და ძლიერ ააოხრებდა ვენახებსა. შოველთის ასეა, როდესაც ერთ ქვეყანაში სხვა ქვეყნის ავთმყოფობა ჩნდება, რომ წინათ არა ყოფილიყოს, საშინლათ ედება და აფუტებს, როგორი ავთმყოფობაც უნდა იყოს: ადამიანისა, პირუტყვისა ან ხისა და ბალახისა; ყველა ეს თვისება აქვს.

საფრანგეთის სამხრეთ შირონდის მაზრაში ქალაქ ბორდოს ახლოს ერთ ვენახში გამოჩნდა ეს ჭია; ამ ვენახში პირდაპირ ამერიკიდან გადმოტანილი ვაზები დაერგათ. მერობის სხვა ადგილებშიაც ფილოქსერა სწორეთ იქ გამოჩნდა, საცა ამერიკის ვაზები დაერგათ. ამერიკაში აღმოჩნდა ქალაქ მენის ახლოს პლონტენბურღში სწორეთ იმ ალაგას, საცა ამერიკის ვაზები ჰქონდათ. აგრეთვე პორტუგალიაში და სხვა ადგილებში ამერიკის ვაზებმა ამოაჩინეს ეს ავთმყოფობა.

ჩაკი ერთი და ერთი გადპოვიდა ფილოქსერა, მერობაში მოეფინა საკვირველის სინქართა და ერთის ადგილიდან მეორეს გადადიოდა.

საფრანგეთში თვედაპირველად ფილოქსერისა ორი ბინა ამოჩნდა სხვა და სხვა ალაგს, საცა დიდი ვენახებით და ზერებით სავსე იყო: სამხრეთ დასავლეთისაკენ და ბორდოს ქალაქის არემარეში. ამ ორი მხრიდან მოედვა მდინარე რონის ხეობას და იმის შესართავ წყლების ხეობებსა, მერე აქედამ სხვა და სხვა მხარეებს აქეთ-იქით გზები გაიკეთა და გაიარა. ახლა რომინდამ ჩრდილოეთის მხარეს აღი, აღმოსავლეთისაკენ მიდის ქვემო ალპების მთებისკენ, — დასავლეთისკენ ააოხრა თითქმის მთელი ბარის მაზრა ზოგიერთ მაღლობ ადგილებს გარდა და აგრეთვე წახდინა მროლის მაზრა, სახელდობრივ მთელი მონპელიე, ლოდერის და ბერჟერის მაზრები. 1872 წლიდან გადავიდა შვეიცარიის სახელმწიფოში და იმის ნახათ, ხელშეწყობით მოვილილ და გაკეთებულ ვენახებს ხდენს და ავერანებს.

ეს სენი ყველგან ამგვართ ჩნდება და ეფინება: პირველად ქირი ფარულათ არის, მერე ფესვებზე გამოჩნდება წინწკლები წილის ბუდეები ცალ-ცალკეთა, ამავე წელიწადს ეს წინწკლები იმავე ალაგს დიდდება, და ბუდეები მრავლდება, ბოლოს ჩნდება წილი და ედება არემარეს ათი თხუთმეტე და მეტი ვერსის სიმორეთ (რამდენსამე ლიეს lieue — ლიე ოთხი ვერსი და 84 საჟენი). მრთი სიტყვით საშინლათ მრავლდება სენი, ახალი ბუდეები ჩნდება საცა წინათ არ იყო და საცა ახლოედება, იმ მამულებს უქადის აოხრებასა.

ამ გვართ ედებოდა და წახდინა

მომატებული ნაწილი სამხრეთ დასავლეთი მაზრები ს. ფრანგეთისა. ძლიან ადვილათ ვის შენახამ გე... რათ მოდებო ავთმყოფობისა იმიით, რომ გაჩენილი ბუდე დიდდება და ახალი ბუდე ჩნდება. პრველი გამოჩენა სენისა მაშინ არის, როდესაც ახლად გადმოსული ახალგაზდა წილი ფილოქსერა იბარტყავს და აჩენს ახალს ჩამომავლობას, გამოწუნულ ფესვებს თავს ინებებს, რომ გადავიდეს ჯან-მრთელ და წაუხდენელ ვაზის ფესვებზე. მეორედ ეს სენი უფრო შორს ალაგებში ამიტომ ედება და იფინება, რომ ფილოქსერა როდესაც ფრთას შეისხამს, ქარს მიაქვს ბინა ადგილიდან კარგა მოშორებითა.

პრველ შეხედვაზე კაცი ჰკვირობს, ასე პატარას ხანში საშინლათ როგორა მრავლდებაო. აი როგორა მრავლდება: თითო ფილოქსერა სამოცს (60) თესლსა სდებს და ათთორმეტ დღეში ამ თესლიდან სამოცი ახალი ფილოქსერა გამოდის. ეს სამოცი ახალი წილი რამდენისამე დღის შემდეგ თითო თავისის მხრით კიდევ სამოცსა სდებს, ასრე რომ ოც და ორს დღეში ერთი ფილოქსერასაგან იბარტყავს სამი ათას ექვსას (3.600) ფილოქსერასა. მრთ წელიწადში ერთი ფილოქსერა ორმოც (40) მილიონამდინ მრავლდება. ამით შეგვიძლია შევიტყოთ, რომ ერთად ერთი ფილოქსერა თუ როგორმე გაჩნდა სადმე, საცაოა ეს ერთი რომ ოთხ-ხუთ წელიწადში ააოხროს ვენახები.

შრთიანი ფილოქსერა ქარს დააქვს, ეს საეჭო არ არის და დამტკიცებულია; მხოლოდ ის კი არ იციან: დედალი ფრთიანი ფილოქსერა სახელდობრივ თესლს რა ადგილსა სდებს. შრენის დროს ფილოქსერას ორი-სამი პარკი თესლი აქვს და ეს თესლი მერე მიწის ქვეშ ფილოქსერის დედა ხდება.

(ზაგარძელება)

ნარევი

მრთს ნემესს ისეთი საშუალება მოუგონია, რომლის შემწეობითაც რა მიმართულდებაც სურს, იმ მიმართულებასა აძლევს თურმე პერში მფრინავ შარს (აეროსტატს).

* * *
რუსულს ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულის ანგარიშით ვტყობულობთ, რომ რუსეთის ყველა რკინის გზებს შარშანდელი წლის განმავლობაში 414,000 ოთხ-კუთხი (კუბიკური) ს.ჟენი შეშა დაუწევას — 6.093,000 მანეთისა, და ამას გარდა 18.580,000 ფუთი ქვანახშირი — 2,780,300 მანეთისა.

* * *
საფრანგეთის მმართველობას გაუკეთებინებია ძეგლი იმ ფრანკუზების სახსოვრად, რომელნიც უკანასკნელი ომიანობის დროს ბრავლოტის, მარს-ლატურის და სან-პრივას ბრძოლაში დაიხოცნენ. ძეგლი წარმოადგენს მშენიერად გამოყენილ ქილს (საფრანგეთს), რომელიც უკვდავების გვირგვინს ხურავს თავზე ფრანკუზის სალდათს. შალის ფეხებთან ორი ყმაწვილია (პლუსი და ლორენი), რომელნიც იჭერენ ხმალს, რომელიც სალდათს უფარდება ხელიდამ.

საქარო

△ ინტენდანტის სამმართველო აცხადებს, რომ ახალქალაქის უფლის სამმართველოში იქნება ვაჭრობა ახალქალაქის ჯარის მალაზიისათვის ხორბლის და ქერის დაფქვის თაობაზე. წელიწადში 5,803 ჩეტვერტი ხორბალი უნდა დაიფქვას და 320 ჩეტვერტი ქერისა. იჯარა ორი წლით მიეცემა.

ვაჭრობა დანიშნულია ამ 2-ს ენკენისთვის ახალქალაქში.

△ ინტენდენტის სამმართველო გამოიხიბობს მსურველებს, რათა იქსრონ იჯარით, თერგის მაზრაში, ბურტუყავეის სიმაგრის ციხედლის აშენება. ამ იჯარისათვის დანიშნულია 10,231 მანეთი.

ვაჭრობა იქნება თფილისში სამაზრო ინტენდენტის სამმართველოში 4-ს ენკენისთვის 1875 წელს.

△ თფილისის ქვევითა იუნკრის სასწავლებლის გამგეობა გამოიხიბობს მსურველებს, რომელთაც მსურთ იჯარით აღება ამ სასწავლებლისათვის ხორცისა და სხვა ხორცისა და აგრეთვე თეთრი პურისა, დღეში 10-14 ფუთამდი. იჯარა ამ 1 სექტემბერიდან მომავალ 16 ივნისამდინ არის. იძლევიან 10,000 მანეთს.

ვაჭრობა დანიშნულია ამ აგვისტოს 29-ს.

△ ზვის-მკეთებელი სამიტეტი (Строительно-дорожный комитет) გამოიხიბობს მსურველთა, რათა იქსრონ იჯარით მოტანა ქვიშისა და დამტრეული ქვისა სამი წლის განმავლობაში, 1876 წლის 1 იანვრიდან ვიდრე 1879 წლის იანვრამდე რეენტისათვის თფილისიდან მარჯვენამდე შოსეს გზისა და ალექსანდროპოლის გზის რტოთი დელინიდამ ბამზაჩენინამდი, ხოლო 1877 და 1878 წლებში ბამზაჩენინიდან პარაკლისამდი. მთელი გზა სამ ნაწილად არის გაყოფილი: 1) თფილისიდან ნოვო-აქსტაუის სტანციამდი, 2) ნოვო-აქსტაუის სტანციიდან დელინით პარაკლისამდი და 3) დელინიდან მარჯვენამდი.

პირველ უჩასტკაში საჭიროა: ა) თფილისიდან სალანლუდამდი ყოველ წელიწადს 144,6 კუბიკური ოთხ-კუთხედი) საჭენი სხებენი (დამტრეული ქვა) და სამი წლის განმავლობაში 433,8 საყ. — თითო საყენი 16 მანეთად, სულ 6,940 მან. და 80 კაბ. ბ) სალანლუდიდან ნოვო-აქსტაუამდი ყოველ წელიწადს 546,96 კუბიკ. საყენი, სულ 1640,88 საყ. და თითო საყენი—22 მან., სულ 36,099 მანეთის და 36 კაბეკის.

მეორე უჩასტკაში: ნოვო-აქსტი-ფიდან დელინიდამდი წელიწადში 379 კუბიკ. საყ., სულ 1,137 საყ.; თითო საყენი—14

მან. სულ 15,926 მანეთის და 379 საყ. ქვიშა, თითო საყენი 7 მანეთად. 2) დელინიდამ ბამზაჩენინამდი წელიწადში 90 კუბიკ. საყ. ქვა—საყ. 14 მან. და 36 ქვიშა, საყ.—7 მან. 3) ბამზაჩენინამდი პარაკლისამდი ამავე ანგარიშით.

მესამე უჩასტკაში: დელინიდამ მარჯვენამდი საჭიროა ყოველ წელიწადს 600 კუბიკური საყენი სხებენი და სამ წელს 1,800 საყ., თითო საყენი—14 მან. სულ 25,900 მანეთისა.

მსურველთა უნდა გამოგზავნონ განცხადება მთავარ სამმართველოს კანცლარიაში ამ წლის 5-ს სექტემბრამდინ.

△ ძაგასიის მაზრის ინტენდენტი სამმართველო გამოიხიბობს მსურველთა, რათა იქსრონ იჯარით აღება ახალციხეში ყაზარის აშენებისა. იჯარისათვის დანიშნულია 8,226 მანეთი და 11 კაბ.

ვაჭრობა იქნება 1 სექტემბერს (ენკენისთვის) თფილისში ინტენდენტის სამმართველოში.

განცხადებანი

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

მრეწვის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში. ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, ზაფხულობით დილის 8 საათიდან 10-მდი.

მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ექიმი ტელიაჭუსი—ქალისა და ყმაწვილების ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. მერმიშვიეი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

მ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ლისიცივი—შინაგანი ავთამყოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავთამყოფობისათვის.

ხ. უ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. ბრაზოვსკი—ხირურგიული ავთამყოფ., ტელიაჭუსი—ქალებისა და ყმაწვილების ავთამყოფ. და მერმიშვიეი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

პ. ა. რ. ა. ს. კ. ე. ს. ლისიცივი და მარკაროვი—შინაგანი ავთამყოფობისათვის.

შ. ა. ბ. ა. თ. ს. მერმიშვიეი—შინაგანი ავთამყოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავთამყოფობისათვის.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისჯიდება მეორე გამოცემა პართულ შრანცუზულ ლამსიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბაზი.

მასწავლებელი, რომელიც რამდენიმე წელიწადი ასწავლის რუსულს ენას, აიყვანს მოსამზადებლად, ძლიერ იაფ ფასათ, გიმნაზიის ოთხ კლასამდი განსავლელ რუსულ ენაში და სხვა საზნაშიდაც იმ ყმაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში, ან სხვა სასწავლებლებში არიან და ვაკაციების დროს მომზადება ეჭვრებათ, ან ეხლა სურთ მიიღონ სასწავლებელში.

აღმსნი იკითხეთ: თფილისში, „დროების“ რედაქციაში, შორლანოვის სახლებში, მოლნიხის მოედანზე.

ბალანსი ომისის გამსახებელ უამანახელი ამხანაგობისა

1-ს იანვრიდან 1-ს იელისამდის 1875 წლისა.

(დღეუბნებულია 21-ს მარტს 1874 წ., 21-ს დამფუძნებლებისაგან სესხით 1500 მ. და 116 წევრისაგან 690 მან. და 60 კაბ., სულ 2190 მან. 60 კაბ.)

აქტივი	მან.	კაბ.
1) ქასა	156	9 1/2
2) სესხი მიცემული 176 წევრზე	6907	„
3) სარგებელი მიცემული ვადაზედ წინ გადახდილი ნასესხისა	5	5
4) თფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში	155	30
5) სარგებელი მიცემული ნასესხებზედ	164	22
6) სამმართველოს ხაჯი	179	7 1/2
7) სათადარიგო თანხა	3	3
ბალანსი	7569	77

პასსივი

პასსივი	მან.	კაბ.
1) წილის ფული შემოტანილი 373 წევრისაგან	2896	40
2) სასარგებლოდ შემოტანილი	40	„
3) სესხები აღებული თფილისის კრედიტის დაწესებათაგან და კერძო პირთაგან	4225	„
4) სარგებელი აღებული	385	24
5) ჯარიმა აღებული	14	80
6) სხვა და სხვა შემოსავალი	5	30
7) სათადარიგო თანხა	3	3
ბალანსი	7569	77

შენიშვნა: ბამგეობა შეიყრება ხოლმე კვირათხით და ორმახათობით დილის 9 საათიდან 12-ს საათამდის შუდღისა, და სალამოთი 4-ს საათიდან 10 საათამდის. ამხანაგობა აძლევის სარგებლებს სასარგებლოდ შემოტნილ ფულზედ ვადით არა ნაკლებ 3 თვისა 6%, ანუ ახედ ექვსს, და წლის ვადისაზედ და მომეტებულზედ 7% ანუ შეიღოს ასზედ.

თვითონ იღებს სარგებელს გასესხებულ ფულზედ 12% ანუ ასზედ თორატესა.

გამგანი: მ. ჰალაგოვი და ბ. ოსეოვი

ბექტეიდგან გამოვიდა და ისყიდება თფილისში: მელიქაშვილის და კაბ. I ტამბაში I და II კარი შარამანიანისა, ფასი 30 კაბ. თავის სურათებით. აგრეთვე მწფიჯანცის საწიგნო მალაზიაში დიდ პოლიციის გვერდით და სხვა ადგილებში, ყველგან ფასი 30 კაბ.

მუთაისში: სვიმონ ჩომეხიძესთან.

იბექტედა და მომავალ თეებში გამოვა III კარი შარამანიანისა.

ისჯიდება თფილისში მკეთიმიეხელ ძას სტამბაში, მანოვის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში:

საყვარლო ქონა

პირველ-დაწყებითი მოთხოვნებისა გუნების მისინიკაბიდამ შედგენილი იკობ ზოგ. ბაშვილისაგან მ. მოცემული სტ. ზარ ფოვისაგან ფასი ხუთი შაზრი

ორი მასწავლებელი მუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და ერთი სტუდენტი მიიღებენ შაზირდავს ამ კანკულეებში სხვა და სხვა საგნებში მოსამზადებლად ეგზამენისათვის, აგრეთვე ამხანაგობის ყმაწვილებს შესასვლელად სხვა და სხვა სასწავლებლებში.

პირობების შეტყობა შეძლოანთ ზაქარია შვიცილთან, მუთაისის სასულიერო სასწავლებელში.

რ. მ. შ. ა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	ფოფა	ბირჟა	მან.	კაბ.	მაზანდა	მან.	კაბ.
თფილისი	8 18	8 17			ა) შოთილამ:	ა) თფილისი იღამ:	პეტერბურგი, 15 აგვისტ.			თფილისი, 21 აგვისტოს		
მცხეთა	9 18	10	68	38	მდესიკენ—ორშაბ. დილის 8 საათ	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:			პური შორაგლის ფთ.	1 15	
ზორი	11 39	1 43	2 40	1 23	სტამბოლს—კვირათხით დილას.	—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 33 1/3 პენსი.	84		ქერი ფუთი	60	
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., ოშურგეთს—პარასკ და	პარიჟში 348 ნანტიმი.	89		ბამბა მრეწვისა, ფუთი	4 50	
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46	შოსს—სამშაბათს, ღამით.	შაბ. ტახეთს—სამშ. და შაბ.	მსკონტი(სარგებლობისთვის)	5		—ამერიკისა, ფუთი	4 50	
ქვირილა	6 49		5 81	3 23	მდეს ას—კვირას, გათენებისას.	შოთილამ: I II III	ბანკის ბილეთი 5%	99 75		ბაპენტლი ბამბა ფთ.	8	
მუთაისი	7 55		6 75	3 75	შოთილამ: I II III	სოხუმიდამ: 4 3 1	მოგებიანი(პირველისთვის)	238 50		მატყლი თუშური ფთ.	7 80	
სამტრედია	9 2		7 73	4 29	ქვირილამ: 20 50 15 50 5	ქვირილამ: 20 50 15 50 5	მოგებიანი (მეორე სესხი)	238 50		—თარაქამისა ფთ.	4 50	
ახ.-სენაკი	10		8 57	4 76	ტავანოვ. 34 27 8 60	ტავანოვ. 34 27 8 60	ბაროს ფურცლები:			პბრეშუმი ნუხური გრ.	2 60	
შოთი	11		9 75	5 42	მდესსამდი. 38 30 9 60	მდესსამდი. 38 30 9 60	თფილ. სააზნ. ბანკისა.	94 50		ქონი, ფუთი	4	
შოთი	7 38				ტელეგრაფი მ. კაბ	ტელეგრაფი მ. კაბ	ხერსონის ბანკის (5 1/2)	87 50		ქონის სანთელი ფუთი.	5 60	
ახ.-სენაკი	9 11	1 18	66		მ. ციხიტყვა თფილისიდან:	მ. ციხიტყვა თფილისიდან:	მოსკოვის (5%)	8 50		სტეარინის სანთელი, ფ.	10 40	
სამტრედია	10 12	2 6	1 14		მუთაისს, შოსს	მუთაისს, შოსს			ხორცი ძროხისა, ლიტ.	55		
მუთაისი	11 17	3 4	1 69		ზორს, დუშეთს, სიღნაბს	ზორს, დუშეთს, სიღნაბს	აქციები:			—ცხვრისა, ლიტრა	65	
ქვირილანი	12 38	3 98	2 21		როსტოვს მდესს მოსკოვს	როსტოვს მდესს მოსკოვს	მდესის საყარო ბანკის	135		სპირტი, ვედრო	6 60	
ბეჟათუბანი	3 27	ლაშე	5 33	2 96	პეტერბურგს, პარავას	პეტერბურგს, პარავას	შოთი თფილ რინ. გზის	139 50		შაქარი, ბროც. ფუთი	8 40	
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24	მსალეთში, შვეიცარიაში	მსალეთში, შვეიცარიაში	შავი ზღვის ციხე. გემების	560		—ფხვნილი ფუთი	6 80	
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9	იტალიაში და საფრანგეთში	იტალიაში და საფრანგეთში	პარიჟ საზღვევ. საზოგ.	665		შავა გრგვლი ფუთი	19	
მცხეთა	9 52	9 8	5 41	3 50	ინგლისში.	ინგლისში.	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263		ხვითი ქვეყნისა ფთ.	6	
თფილისი	10 49	8 29	7 5	4 2			მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65		მქრო 1/2 იმპერიალი.	5 89	